

ტურიზმის ბიზნესის საბაკალავრო პროგრამა



მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი, სპეციალობა:

ტურიზმი

კრედიტების რაოდენობა: 240 ECTS კრედიტი

პროგრამის ხელმძღვანელი: პროფესორი ნიკო კვარაცხელია

საკონტაქტო პირი: რატი აბულაძე

ტელ.: 555 354488

ტურიზმის ბიზნესის საბაკალავრო პროგრამა აკრედიტებულია საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს №460 გადაწყვეტილებით.

საგანმანათლებლო პროგრამა კარგ შესაძლებლობას სთავაზობს ტურიზმის ბიზნესით დაინტერესებულ პირებს, საფუძვლიანად შეისწავლონ სფერო და ჩამოყალიბდნენ კონკურენტუნარიან სპეციალისტებად.

კურსდამთავრებულებს ენიჭებათ ბიზნეს-ადმინისტრირების ბაკალავრის კვალიფიკაცია, რაც მათ აძლევთ საშუალებას დასაქმებულ იქნან ბიზნეს-ადმინისტრირების ფართო სპექტრით;

ტურიზმის სპეციალობაში მიღებული უნარ-ჩვევები იმის გარანტიაა, რომ კურსდამთავრებულები დასაქმდნენ ქვეყნის ეკონომიკის ყველაზე მზარდ და პოპულარულ - ტურიზმის სფეროში;

ტურიზმი გამოყენებითი მეცნიერებაა, შესაბამისად, მისი დაუფლება მჭიდროდაა დაკავშირებული პრაქტიკულ სწავლებასთან. საგანმანათლებლო პროგრამის ძლიერი მხარეა მისი პრაქტიკული კომპონენტი. პრაქტიკის განხორციელების მიზნით უნივერსიტეტს აქვს ქმედითი მემორანდუმები და ხელშეკრულებები პოტენციურ დამსაქმებლებთან. ტურიზმის ბიზნესის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებს ეძლევათ საშუალება გერმანიის უმაღლესი კატეგორიის სასტუმროებში გაიარონ სამთვანი პრაქტიკა.

საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები

ტურიზმის ბიზნესის საბაკალავრო პროგრამა ორიენტირებულია საბაზისო საუნივერსიტეტო განათლების მიღებაზე, ტურიზმის ბიზნესის მართვის თეორიული საფუძვლების სწავლებასა და ტურიზმის ბიზნესის და კურორტების სფეროში კვალიფიციური სპეციალისტების მომზადებაზე.

პროგრამა უზრუნველყოფს ბაკალავრისათვის აუცილებელი კომპეტენციის განვითარებას.

ცოდნა და გაცნობიერება: კურსდამთავრებული ერკვევა თავისი კომპეტენციის ფარგლებში ეკონომიკური ბერკეტების გამოყენების თანამედროვე კონცეფციებსა და მოდელებში; ორგანიზაციათა და დაწესებულებათა ტურიზმის ბიზნესის რესურსების მართვის თანამედროვე მეთოდებში; კომპეტენციის ფარგლებში ტურიზმის სფეროში მიმდინარე ცვლილებების, მოქმედი დაკრედიტების მექანიზმის ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ საკითხებში თავისი; ტურიზმის სფეროს ანალიზის რაოდენობრივ და სტატისტიკურ მეთოდებში; მომსახურების სახეებში, მეთოდებსა და საკანონმდებლო ბაზაში; ტურისტული პროდუქტის ფორმირებისა და ფუნქციონირების პრინციპებში; ტურის მომზადებისა და მომსახურების პრინციპებში; ტურისტული საწარმოს საქმიანობაში; ტურისტული მარშრუტის ტექნოლოგიაში; ტურისტული ფირმის ფუნქციონირების თავისებურებებში; ტურისტული ბაზრების ფუნქციონირების საკითხებში მონათესავე სფეროებთან, ბიზნესის მართვის ბერკეტების კავშირ-მიმართებაში;

აცნობიერებს: მდგრადი ტურიზმის განვითარების ინსტრუმენტების მნიშვნელობას; სასტუმროსა და ტურისტული კომპანიების მუშაობის პრინციპებს; ტურიზმის ბიზნესისა და მენეჯმენტის საფუძვლებს; სასტუმროსა და განთავსების სხვა საშუალებების ფუნქციონირების თავისებურებებს; რესტორნებისა და საზოგადოებრივი კვების ობიექტების მართვის თავისებურებებს; აცნობიერებს სამართლებრივ, ეთიკურ და კროსკულტურულ პასუხისმგებლობას ტურისტულ ორგანიზაციაში და საზოგადოებაში.

იცის: ტურიზმის ბიზნესის სფეროს სამართლებრივი, ეკონომიკური და ორგანიზაციული ასპექტები, მათემატიკური მეთოდები. ბიზნესის სფეროში მიმდინარე მოვლენებისა და პროცესების განვითარების ტენდენციების გამოვლენის, კანონზომიერებების დადგენისა და პროგნოზირების მეთოდები და ხერხები, ბულალტრული აღრიცხვის ფუძემდებლური პრინციპები; მმართველობითი საქმიანობის განხორციელების მარკეტინგული ხერხები და საშუალებები; ტურიზმის ბიზნესის მომსახურების, მისი მრავალსახეობებისა და ტურიზმის მომსახურების გაყიდვის თავისებურებები; ბიზნესის სფეროში მიმდინარე პროცესების ანალიზის რაოდენობრივი და სტატისტიკური მეთოდები; ღონისძიებების ორგანიზების ტექნოლოგია; მენეჯმენტის ფუნქციები, მენეჯერული გადაწყვეტილების მიღება-განხორციელების ეტაპები; ეკონომიკური თეორიის ძირითად პრინციპები; ტურიზმის ბიზნესის სფეროში მიმდინარე ცვლილებების, მოქმედი მართვის მექანიზმის ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ საკითხები; ბიზნესის სფეროში ახალი იდეების გენერირება და ბიზნესის ორგანიზება; ბიზნესის ორგანიზაციულ-სამართლებრივი სტრუქტურის სწორად განსაზღვრა და ბიზნეს გარემოს ანალიზი და მასთან ადაპტირება; ათვისებული ცოდნის ლოგიკურად და თანმიმდევრულად წარმოდგენა; ახალი ინფორმაციის კონკრეტიზირება და მისი ახსნა-განმარტება; დისციპლინის მეთოდებისა და ტექნიკის სწორად გამოყენება; ელექტრონულ ცხრილების გამოყენება ტურისტული კომპანიის მუშაობის შედეგების ანალიზისათვის; სასტუმროს მართვაში ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება; ტურისტთა განთავსების საშუალებების კლასიფიცირების პრინციპები; სასტუმრო კომპლექსების, ასევე მცირე სასტუმრო სახლებისა და საოჯახო სასტუმროების მართვის თავისებურებანი; ტურისტთა კვების ობიექტების ფუნქციონირების ძირითადი პრინციპები; ტურისტთა კვების თავისებურებანი და მენიუს შედგენის პრინციპები; ახალი ტურისტული პროდუქტის ჩამოყალიბებისა და გასაღების მეთოდიკა;

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი: ბაკალავრი უნდა ფლობდეს: პროფესიული საქმიანობის სფეროში ოპერატიული ინფორმაციის მოძიების, პირველადი მონაცემების ინტერპრეტაციის, შეფასების, დამუშავებისა და შენახვის ტექნოლოგიებს; მოვლენებისა და პროცესების ანალიტიკური შეფასებისა და წამოჭრილ პრობლემათა ოპერატიული დიაგნოსტიკის, მათი გადაჭრის ღონისძიებათა დასახვის, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში გადაწყვეტილებათა მიღების უნარ-ჩვევებს; მის წინაშე დასახული

მიზნებისა და ამოცანების წარმატებით განხორციელების პრაქტიკულ ჩვევებს; დროის დაგეგმვისა და ორგანიზების უნარს;

ბაკალავრს უნდა შეეძლოს: ტურისტული პროდუქტის გაყიდვის ინსტრუმენტების გამოყენება; სხვადასხვა ტიპის სასტუმროს შიდა სტრუქტურებში საქმიანობის წარმართვა; სასტუმროს მომსახურე პერსონალის შერჩევა და მართვის ტექნოლოგიების პრაქტიკულად განხორციელება; სასტუმროს მართვაში ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება; ტურისტთა სწორი და უსაფრთხო კვების ორგანიზება და განხორციელება; ტურისტთან/კლიენტთან მუშაობა; ტურისტულ საქმიანობასთან დაკავშირებული ეთიკური და უსაფრთხოების ნორმების გამოყენება; საზოგადოებასთან ურთიერთობა და გააჩნდეს საკუთარი ცოდნის დემონსტრირების უნარი; ტურისტული საწარმოს საქმიანობის განმსაზღვრელი ფაქტორების შეაფასება; შეაფასოს და წარმოადგინოს ტურის ტიპები, ფორმები/სახეები; შეაფასოს შიდა ტურიზმის განვითარების ტენდენციები დამოუკიდებლად ან მინიმალური ხელმძღვანელობის პირობებში; შეაფასოს და წარმოადგინოს ტურისტთა განთავსების საშუალებების კატეგორიები დანიშნულებისა და მომსახურების მიხედვით; შეაფასოს და წარმოადგინოს ტურისტთა კვების თავისებურებანი; შეაფასოს რესტორნების ბიზნესის განვითარების ტენდენციები მისი თავისებურებების გათვალისწინებით; მომხმარებელთა მომსახურების საკითხებში მყარი ცოდნის დემონსტრირება; ტურიზმის ბიზნესში მომსახურების მიმწოდებლებთან ხელშეკრულების მომზადებისა და გაფორმების უნარის დემონსტრირება; სასტუმროს მომსახურე პერსონალის დაქირავება-მართვასთან დაკავშირებული ძირითადი პრობლემების გადაჭრის უნარის დემონსტრირება; მენიუს შედგენის და მისი კვებითი ღირებულების სწორად შეფასების უნარი; IT(ინკლუზიური ტური) და ET(ექსკლუზიური ტური) ტურისტული ჯგუფების მომსახურების თავისებურებათა წარმოდგენა;დასკვნის უნარი: ტურიზმის სფეროში მიმდინარე მოვლენების ანალიზი და პროცესების თვისობრივი და რაოდენობრივი მახასიათებლების დადგენისა და შეფასების-ანალიზის უნარი; თავისი კომპეტენციების ფარგლებში ტურიზმის ბიზნესის სფეროში მიმდინარე მოვლენებისა და პროცესების ანალიზისა და მათი კანონზომიერების გამოვლენის უნარი;

კომუნიკაციის უნარი: ტურიზმის სფეროში ბიზნეს-კომუნიკაცია როგორც მშობლიურ, ისე უცხო ენაზე; თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დამოუკიდებლად გამოყენება; ტურიზმისა და კურორტების სფეროში საკუთარი სწავლის პროცესის წარმართვა თეორიული წყაროებისა თუ ინფორმაციული რესურსების ფართო სპექტრის გამოყენებით; სამეწარმეო საქმიანობის პროცესში საგადასახადო და საბაჟო ორგანოებთან ურთიერთობის უნარი.

ტურიზმის სახელმწიფო სისტემის და სხვა ინსტიტუციური სტრუქტურების გამოცდილ თანამშრომლებთან თუ ხელმძღვანელთან, აგრეთვე კვალიფიციურ სპეციალისტებთან საჭიროების შემთხვევაში კონსულტაციებისა და მოლაპარაკებების ჩატარების უნარი.

სწავლის უნარი: დამატებით სპეციალობაში შემავალი დისციპლინებში საკუთარი სწავლის პროცესის წარმართვა თეორიული წყაროებისა თუ ინფორმაციული რესურსების ფართო სპექტრის გამოყენებით; საკუთარი ცოდნის დონის შეფასება და მისი გაღრმავების მიზნით შემდგომი სწავლის საჭიროებების განსაზღვრა; ტურიზმის სფეროში აპრობირებული ახალ ტექნოლოგიათა დამოუკიდებლად ათვისება შემდგომი პროფესიული განვითარების უზრუნველსაყოფად; ტურიზმის სფეროს სამეცნიერო დარგობრივ ლიტერატურასთან დამოუკიდებლად მუშაობა; დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხით სწავლის გაგრძელება.

ღირებულებები: მიღებული ცოდნა და პროფესიული უნარი საშუალებას მისცემს კურსდამთავრებულებს საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში წვლილი შეიტანონ ტურიზმის ბიზნეს-გარემოს სრულყოფაში, წარმოების მაღალი კულტურული ფასეულობების დამკვიდრებაში და

საწარმოთა ეფექტიან ფუნქციონირებაში. ისინი შეძლებენ აქტიურად მიიღონ მონაწილეობა ზნეობრივი და პროფესიული ღირებულებების ფორმირებაში და საკუთარი წვლილი შეიტანონ ამ ღირებულებების დამკვიდრებასა და მათ განვითარებაში.

უნივერსიტეტში მოქმედი შეფასების სისტემა

სტუდენტი პროგრამის თითოეულ კომპონენტში ფასდება 100 ქულიანი სისტემით, რომელიც მოიცავს შუალედურ შეფასებას და დასკვნით შეფასებას. ყოველი სასწავლო კურსის ფარგლებში სტუდენტი ასრულებს სილაბუსით გათვალისწინებულ დავალებებს, ამზადებს პრეზენტაციას, მონაწილეობს დისკუსიებში და ერთვება ყველა სხვა აქტივობაში, რაც აუცილებელია სასწავლო კურსის მიზნების მისაღწევად.

100 ქულის განაწილება იხილეთ ქვემოთ მოცემულ ცხრილზე. ამასთან, გამოკითხვის სახე, სტუდენტის მიერ მოსამზადებელი პრეზენტაციის და სხვა საკითხების შესახებ ინფორმაცია დეტალურად არის მოცემული სასწავლო კურსების სილაბუსებში.

100 ქულა					
შუალედური შეფასება - 60 ქულა			დასკვნითი შეფასება - 40 ქულა		
შეფასების კომპონენტები	ქულა	მინიმალური კომპეტენციის ზღვარი	შეფასების კომპონენტი	ქულა	მინიმალური კომპეტენციის ზღვარი
ყოველკვირეული/სასემინარო შეფასებები	20	8	დასკვნითი წერითი გამოცდა	40	21
პრეზენტაცია	10	4			
შუალედური გამოცდა	30	8			

ყოველ სასწავლო კურსში დასკვნითი გამოცდის ჩაბარება სავალდებულოა. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასების სახით მოპოვებული აქვს არანაკლებ 20 ქულა.

საბაკალავრო ნაშრომის შეფასება ხორციელდება საბაკალავრო ნაშრომის შესრულების, დაცვისა და შეფასების ინსტრუქციის შესაბამისად.

შეფასების სისტემა, პროგრამის ყოველი კომპონენტისათვის ითვალისწინებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- (A) ფრიადი – 91-100 ქულა;
- (B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა;
- (C) კარგი – 71-80 ქულა;
- (D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა;
- (E) საკმარისი – 51-60 ქულა.

შეფასების სისტემა, ასევე, ითვალისწინებს ორი სახის უარყოფით შეფასებას:

- (FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; დამატებითი გამოცდა ტარდება დასკვნითი შეფასების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღის შემდეგ.
- (F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებულ ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება სასწავლო კურსის საბოლოო შეფასებაში.

დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F - 0 ქულა.

საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

ერთიანი ეროვნული გამოცდები. საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის უფლება აქვთ სრული ზოგადი განათლების მქონე პირებს. პროგრამაზე ჩარიცხვა ხორციელდება ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად კოეფიციენტების რანჟირების საფუძველზე, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე ჩარიცხვის წესი. საგანმანათლებლო პროგრამაზე ერთიანი ეროვნული გამოცდის გავლის გარეშე ჩარიცხვა შესაძლებელია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის №224/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტების კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის“ შესაბამისად.

მობილობა. საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ასევე, შესაძლებელია მობილობის წესით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 2 თებერვლის ბრძანება №10/ნ-ით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის“ შესაბამისად.

შიდა მობილობა. საგანმანათლებლო პროგრამაზე ასევე დაიშვებიან მსურველები შიდა მობილობის წესით. შიდა მობილობა ცხადდება წელიწადში ორჯერ, კონკრეტული ვადები და პროცედურები განისაზღვრება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით და ინფორმაცია რეგულარულად თავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე www.sangu.edu.ge

საგანმანათლებლო პროგრამაში გამოყენებული სწავლა-სწავლების მეთოდები

პროგრამის განხორციელებისას გამოყენებული იქნება როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული სწავლების მეთოდები. პროგრამის თითოეულ საგანში დაბალანსებულია თეორიული სწავლება და პრაქტიკული მეცადინეობები.

თეორიული მეცადინეობა გულისხმობს ლექციებს, სემინარებს, სპეციალური ლიტერატურის დამუშავებას, მოხსენებების პრეზენტაციას. იგი ემსახურება წიგნზე მუშაობის, ინფორმაციის დამოუკიდებლად მოპოვების უნარის გამომუშავებას. სტუდენტს დამოუკიდებელი მუშაობის შესასრულებლად ეძლევა დავალება, რომელსაც იგი ასრულებს წიგნზე მუშაობის, მოხსენების გაკეთების გზით და სხვ.

სალექციო კურსის თეორიული მასალა ინტერაქტიული სწავლების ძირითად სტრატეგიებს ეყრდნობა. სწავლების აქტივიზაციისთვის ხდება ადრე მიღებული ცოდნის გამოყენება. საგნის შესასწავლად გამოყენებულია სიტყვიერი გადაცემის მეთოდი, თვალსაჩინოების ჩვენება Power Point-ით.

პრაქტიკული მეცადინეობები კი ემყარება შემთხვევის ანალიზს, მუშაობას მცირე ჯგუფებში, რეალური ბიზნეს საქმიანობებისა და კომპანიების მენეჯერულ, ფინანსურ, სტრატეგიულ, მარკეტინგულ ანალიზს. ეს საშუალებას აძლევს სტუდენტს გამოთქვას საკუთარი აზრი როგორც რეალურ სიტუაციებზე, ასევე შეადაროს ერთმანეთს თეორიული ცოდნა პრაქტიკაში არსებულ ვითარებას. ანალიტიკურად გაიაზროს

ნასწავლი მასალა და ისწავლოს მოვლენების ახსნა-განმარტება, აღწერა და ანალიზი. იგი მოითხოვს სტუდენტისაგან გონებრივ იერიშს დასმულ საკითხზე.

სასწავლო საგნების გარკვეული დისციპლინები ნაწილი (ბუღალტრული აღრიცხვა, მენეჯერული ეკონომიკა, ფინანსური მენეჯმენტი და სხვ.) დამყარებულია სავარჯიშოებისა და ამოცანების ამოხსნაზე, რაც აადვილებს თეორიული მასალის გააზრებასა და შესწავლას.

ყველა ლექცია ეფუძნება ახსნა-განმარტებით მეთოდს, ხოლო პრაქტიკული მეცადინეობები კი - ქმედებაზე ორიენტირებულ სწავლებას. ლექციაზე სალექციო მასალის ვიზუალურ პრეზენტაციას თან ახლავს ვერბალური განმარტება; განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა პირდაპირი სწავლებისა და კოლექტიური (ჯგუფური) შესწავლის მეთოდებს.

სწავლებისას გამოყენებული მეთოდები ითვალისწინებს საგნის სპეციფიკას და ემსახურება როგორც მასალის თეორიულ აღქმას, ასევე მის ვიზუალურ წარმოდგენას, რომელიც შესაძლებელია სასწავლო ვიდეო-ფილმების, სქემების, დემონსტრირების მეთოდის გამოყენებით. ხშირ შემთხვევაში ადგილი აქვს მეთოდთა შერწყმას, რომლებიც ერთმანეთს ავსებენ. სწავლებისას გამოსაყენებელი ეს მრავალფეროვანი მეთოდები მიმართულია პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევაზე.